Official positions of authorities from the family of Charmauli

ჭარმაულთა გვარის მოხელე პირების სამოხელეო თანამდებობები[1]

Otar Zhizhiashvili

PHD student of the University of the Patriarchate of
Georgia named after Saint Andrew the First
Chavchavadze Avenue #53a; Tbilisi Georgia
Science-collaborator of the National Center of Manuscripts of Georgia
Georgia, +995598728692, otari_zhizhiashvili@mail.ru
https://orcid.org/0000-0003-1590-2851

Abstract. The subject, which is presented in the form of the article, is mainly one of the important research topics of the doctoral research (feudal house of the Charmul's family of the XIII-XVIII centuries). Here is a brief introduction to some of the members of this genus who, at various times according to historical documents and narrative sources, held both ecclesiastical and secular positions. The Charmuli's family held the position of Aragvi Eristavi for some time. In addition, they were members of the church council - "Mtskhetishvili" institute and hold this position. The article discusses the activities of individual representatives of the family of Charmauli and their official positions, which were given at different times with the support of the kings and Catholics. In this regard, an important place is occupied by Iovane Charmauli, who is the first from this family to become "Mtskhetshishvili" and in the future lays the foundation of the family of Charmauli in the "Mtskhetshishvili" institution. Since Iovane, the Charmaulis have been one of the twelve important families of Mtskhetshishvili.

Apart from Iovane, Giorgi Charmauli, a 16th century figure, enjoys the trust of the church and writes important documents on the orders of the highest clergy and holds the position of scribe. In 1531, Basil the Catholicos even gave him a deed of mercy, which is interesting in its content. In 1657, Christopher Catholicos gave the title of "Merikiphetukhutsesi" to Zacharia Charmauli, and in 1675 Domenti Catholicos gave him another title of "Mouravi" (Chief) of the village of Aghain. Both Catholics paid a lot of attention to the same person, which is explained by his devotion to the Church.

The documents that provide us with important information on the issue raised by us during the research on these and other important issues, most of them have not been published and this is important in this regard as well.

Search words: Charmauli, Iovane Charmauli, Mtskhetisshvili, Merikifetukhutses, Mouravi.

[1]კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი PHDF-21-327 ჭარმაულთა ფეოდალური სახლი XIII-XVIII საუკუნეები)

ოთარ ჟიჟიაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტის დოქტორანტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი #53ა; თბილისი, საქართველო,
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
+995598728692, otari_zhizhiashvili@mail.ru
https://orcid.org/0000-0003-1590-2851

აბსტრაქტი. საკითხი, რომელიც სტატიის სახითაა წარმოდგენილი, ძირითადად არის სადოქტორო (ჭარმაულთა ფეოდალური სახლი XIII-XVIII საუკუნეები) საკვლევი თემიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი. აქ, მოკლედ წარმოდგენილია ამ გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც სხვადასხვა დროს ისტორიული დოკუმენტების და ნარატიული წყაროების მიხედვით იკავებდნენ, როგორც საეკლესიო, ისე საერო თანამდებობებს. ჭარმაულები გარკვეული დროის განმავლობაში იყვნენ არაგვის ერისთავის თანამდებობის მფლობელნი. გარდა ამისა, ისინი იყვნენ საეკლესიო საბჭოს - ,,მცხეთიშვილის" ინსტიტუტის წევრნი და ამ თანამდებობის მფლობელნი.

სტატიაში განხილულია ჭარმაულთა გვარის ცალკეული წარმომადგენლების სამოხელეო თანამდებობები, რომლებიც სხვადასხვა დროს მეფე-კათალიკოსების ხელშეწყობით მიეცათ. ამ მხრივ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს იოვანე ჭარმაული, რომელიც ამ გვარიდან პირველია, ვინც მცხეთიშვილი ხდება და მომავალში საფუძველ ჩამყრელია და ჭარმაულთა გვარის დამამკვიდრებელი ,,მცხეთიშვილის" ინსტიტუტში. იოვანედან მოყოლებული ჭარმაულები მცხეთიშვილის თორმეტი მნიშვნელოვნი გვარიდან ერთ-ერთ ადგილს იკავებენ.

იოვანეს გარდა ყურადღებას იპყრობს XVI საუკუნის მოღვაწე გიორგი ჭარმაული, რომელიც ეკლესიის კარზე ნდობით სარგებლობს და უმაღლესი სასულიერო პირების დაკვეთით მნიშვნელოვანი დოკუმენტების დამწერია და მწიგნობრის პოზიცია უკავია. 1531 წელს, მისთვის ბასილ კათალიკოსს წყალობის სიგელიც კი მიუცია, რაც თავისი შინაარსით საინტერესოა. 1657 წელს ქრისტეფორე კათალიკოს ზაქარია ჭარმაულსთვის მერიქიფეთუხუცესობა მიუცია, ხოლო 1675 წელს დომენტი კათალიკოს სოფელ აღაინის მოურავობა უბოძებია. ერთიდაიგივე პიროვნებისადმი ორივე კათალიკოს დიდ ყურადღება გამოუჩენია, რაც ეკლესიისადმი ერთგულებით აიხსნება. დოკუმენტები, რომლებიც ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კვლევის პერიოდში ჩვენს, მიერ წამოჭრილ საკითხზე გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, მათი დიდი ნაწილი გამოცემული არ არის და ეს, ამ მხრივაც მნიშვნელოვანია.

საძიებო სიტყვები: ჭარმაული. იოვანე ჭარმაული, მცხეთისშვილი, მერიქიფეთუხუცესი, მოურავი.

შესავალი. სამეცნიერო ლიტერატურაში ჭარმაულთა ფეოდალური გვარის, თვალსაჩინო წარმომადგენლების, მათი სამფლობელოების და თანამდებობების შესახებ ნაკლებად და შეიძლება ითქვას დიდად არ არის ყურადღება გამახვილებული. ჩვენი მიზანია აღნიშნული თემის სადოქტორო საკვლევ ჭრილში წარმოვადგინოთ ამ გვარის სამეცნიერო კვლევა, სადაც საბოლოო ნაშრომის სახით წარმოდგენილი იქნება რამოდენიმი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა; 1. ჭარმაულთა თანამდებობები, როგორც საერო, ასევე საეკლესიო. 2. ჭარმაულ ფეოდალთა ერთგულება-ახლობლობა სამეფო და საკათალიკოსო კართან. 3. ჭარმაულთა მცხეთიშვილობის საკითხი და ამ ინსტიტუტის ფუნქცია-მოვალეობა სახელმწიფოში. ამ და სხვა

რიგ საკითხებზე მუშაობისას იკვეთება სხვა მნიშვნელოვანი თემებიც, რაც ფეოდალური საქართველოს შესწავლა-გაფართოებას კვლევის მხრიდან მნიშვნელოვნად წაადგება. აქვე ავღნიშნავთ იმასაც, რომ 2021 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტთა საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ ერთ-ერთ თემად გამოვლენილ იქნა ჭარმაულთა ფეოდალური სახლი XIII-XVIII საუკუნეები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. ჭარმაულთა გვარის მიმართ მეფის მერე ეკლესიაც დაინტერესებული იყო სანდო და ერთგული ფეოდალის მხარდაჭერით მთის რეგიონში. ეკლესიას სურდა ქრისტიანობის შეტანა მთაში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივ პროცესად იქცა და მისი გაცნობა, გავრცელება მარტო სასულიერო პირებს არ შეეძლოთ, თუ მათ მთაში არ ეყოლებოდათ დასაყრდენი ძალა ფეოდალების სახით. ცნობილია, რომ საეკლესიო მაღალი რანგის პირები საერო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მხარს უჭერდნენ ჭარმაულთათვის მამულების გადაცემას, როგორც ბარში, ასევე მთაში. მთაში ფეოდალის შესვლა, ან იქ ადგილობრივის გაფეოდალება იყო წინაპირობა ამ სახელმწიფო ინსტიტუტის შეტანის და იქ დამკვიდრების. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ სახელმწიფო ასეთ ფეოდალებს ეყრდნობოდა და გვერდში იყენებდა, არც საკათალიკოსო ჩამორჩებოდა თავისი სიმპატიებით იგივე პირების მიმართ. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჭარმაულები ამიტომაც ხდებიან ეკლესიაში სხვადასხვა ადგილზე მოხელეები, მამულების განმკარგველნი და უფრო მეტიც - ,,მცხეთისშვილები". თავის მხრივ უნდა ითქვას; ,,მცხეთიშვილობა" ძალზედ საპატიო და მაღალი დონის ინსტიტუტი იყო და ამ ინსტიტუტში შემთხვევით არ ხვდებოდნენ, რომელიმე ფეოდალური გვარის წარმომადგენლები, რომელთაც ამ საქმის მსახურება მეფე-კათალიკოსის ერთობლივი შეთანხმების შედეგად ეძლეოდათ სამემკვიდრეოდ მანამ, სანამ რომელიმე მცხეთიშვილის გვარის წარმომადგენელს (ლიდერს) მემკვიდრედ მხოლოდ ქალიშვილი არ ეყოლებოდა. ასეთ დროს, როცა მცხეთიშვილს მარტო მემკვიდრედ ქალი ჰყავდა და ვაჟი არა, მაშინ ისევ მეფე და კათალიკოსი, ანუ საერო და სასულიერო ხელისუფლების უმაღლესი პირები შეიკრიბებოდნენ სხვა მცხეთიშვილებთან ერთად და გარკვეული მსჯელობის შემდეგ გადაწყვეტდნენ დამსახურების და ერთგულების განხილვისას, თუ ვინ უნდა შეერჩიათ იმ მცხეთიშვილის სასიძოდ, რომელსაც შვილი მარტო ასული ჰყავდა. წარმავალი მცხეთიშვილის თანხმობის საფუძველზე და რა თქმა უნდა მეფის და კათალიკოსის გადაწყვეტილებით მოხდებოდა ქორწინება და წარმავალი პირისგან მასთან დასიძევებულ მოღვაწეს ეძლეოდა მცხეთიშვილობა და შემდეგ ის აგრძელებდა ღირსეულად ამ ინსტიტუტის წევრობას მანამ, სანამ ისიც წინამორბედის მსგავსად იგივე მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. ზუსტად ასე მოხდა ჭარმაულთა შემთხვევაში, როცა მისრი ედილაშვილს ძე არ აღმოაჩნდა და თავისი ქალიშვილი კათალიკოსის და მცხითიშვილთა გადაწყვეტილებით იოვანე ჭარმაულს შერთეს ცოლად და იოვანე ედილაშვილის ჩამნაცვლებელი ,,მცხეთიშვილი" - სამცხეთიშვილო ინსტიტუტში გახდა.

მეთოდი. წარმოდგენილი სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: შედარებით ისტორიულ მეთოდი, ემპირიული და სისტემური ანალიზი.

შედეგები. ქართულ ისტორიოგრაფიაში ჭარმაულთა გვარიის ისტორია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არის ერთ-ერთი შეუსწავლელი და ჩვენი მიზანია ამ საკითხის კვლევა და გაცნობა სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ამ ეტაპზე წარმოვადგენთ სტატიის სახით ჭარმაულთათვის სამეფო და ეკლესიის უმაღლესი პირების, მიერ მნიშვნელოვანი თანამდებობების გადაცემის შესახებ კვლევას, რაც ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს და მტკიცდება. დამოწმების სახით მოყვანილი ისტორიული დოკუმენტები განთავსებულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ცენტრალურ არქივის ფონდებში.

დისკუსია. ჭარმაულთა გვარის წარმომადგენლებს სხვადასხვა დროს საქართველოს სამეფოში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ. ამ მხრივ საინტერესოა არაგვის ხეობა თავისი

საერისთავოთი, სადაც მათ დიდი კავშირი და ინტერესები ჰქონდათ.

არაგვის ხეობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, შემადგენელი ხეობებით და კუთხეებით ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. სწორედ აქ გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში დამაკავშირებელი სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზა. დიდი მნიშველობა ჰქოდა დარიალის კარს და ის ყოველთვის სხვადასხვა დროს ცენტრალური ხელისუფლების, მიერ ყურადღებას იქცევდა. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ხალხები საქართველოსთან ურთიერთობას ამ გზით ახერხებდნენ და მათი შემოსვლა დიდ კონტროლთან იყო დაკავშირებული. ასეთი მიზეზთა გამო, მეფეთათვის მნიშვნელოვანი იყო, თუ ვინ ამაგრებდა არაგვის ხეობას და რამდენად სანდო ძალას წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლებისათვის. შუა საუკუნეებში არაგვის ერისთავები, კერძოდ კი შაბურიშვილები მეფების დიდი ნდობით სარგებლობდნენ და ზოგჯერ რთულ ვითრებაში მყოფ მეფეებსაც ეხმარებოდნენ. სწორედ ამ შაბურისძეების ერისთავებად ყოფნისას, პოლიტიკურ არენაზე ჩნდებიან ჭარმაულები, რომლებიც დიდ ყურადღებას იქცევენ ადგილობრივი, სამეფო და საეკლესიო ხელისუფალთაგან. მათი როლი, როგორც ჩანს დიდი იყო ყველა არსებული ძალისათვის და ისინიც ამ ყოველივედან გამომდინარე თავს კომფორტულად გრძნობდნენ. არაგვის საერისთავოში შაბურიძეთა გვარი, როცა დაემხო და გაქრა, მაშინ მათი ადგილი ჭარმაულთა გვარმა დაიკავა და ისინი ფლობდნენ საკმაოდ მაღალ თანამდებობას, როგორიცაა არაგვის ერისთავობა, რომელთა დამხობა თექთურმანიძეებთან (ხევს განაგებდნენ) ერთად მოახერხა ვანათელმა სიდამონმა, რაზეც ვახუშტი წერს; ,,ხოლო ესე ნუგზარ იყო ერისთავი არაგჳსა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სჳიმონისასა უკუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბძანებითა მეფისათა და შეტყუვებითა აღიღო ციხე იგი, და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სჳმონ, ამანვე მოიმწო ქსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყჳდნა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრა ბაზალეთი. მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრანა ძმანი თჳსნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა. შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მოჰკლეს იგი. და დაიპყრა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი. ხოლო მოვიდა სჳმონ, მისცა პაპასავე ნუგზარისასა მსახურებისათჳის მისისა და იყვნენ ჟამამდე ერისთავად“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 424; ბახტაძე, 2005: 8-10). როგორც ირკვევა XV საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს ვამიყ შაბურისძე, რომელიც 1466 წელს იხსენიება და ამის შემდეგ ეს გვარი კარგავს არაგვის საერისთავოს (ბახტაძე, 2005: 6) და მათ ადგილს, არაგვის ტერიტორიაზე ერისთავებად ჯდებიან ჭარმაულები, რომლებიც ამ დროს რეგიონში უკვე ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ და ამიტომ მათ ადვილად დაიჭირეს ეს თანამდებობა, რაც XVI საუნისის შუა ხანებამდე უნდა ჰქონოდათ მანამ, სანამ ერისთავობას ვანათიდან მოსული ნუგზარ სიდამონისძის წინაპრები წაართმევდნენ. XVI საუკუნეში დაქვეითებული ჭარმაულები არაგვის ხეობაში აგრძელებენ ცხოვრებას და ინარჩუნებენ მამულებს, რომლებიც მათ მანამდე შეიძინეს და ამის მერეც მათ ემატებათ საქართველოს სხვადასხვა ადგილას მიწები, სოფლები და თანამდებობები. ამრიგად უნდა ითქვას, რომ ეს გვარი ამ რეგიონში ერთ-ერთი გავლენიან ძალას წარმოადგენდა.

ერისთავობის გარდა, საინტერესო ადგილს იკავებდა სხვა სამოხელეო თანამდებობები, რომლებიც ამ გვარის წარმომადგენლებს სხვადასხვა დროს ეკავათ. საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხია მღვდელ **იოვანე ჭარმაულისთვის 1482 წელს** ,,მცხეთიშვილობის“, როგორც თანამდებობის მიცემა სამემკვიდრეოდ **ედილაშვილისგან.** მღვდელი იოანე მისრი ედილაშვილს უშვილებია, შეურთავს თავისი ერთადერთი ქალი და მიუცია მემკვიდრეობის უფლება. იოანე ჭარმაულს, მცხეთიშვილთა და შიო კათალიკოსის ნებართვით მიეცა სამცხეთისშვილო მამული კარსანში, ჯვარში, ფოსვში, ოროტაში, კუტალაში, ძაგნაკორნაში და ხატისწობენში. საკითხის უკეთ გაცნობის მიზნით მოგვყავს დოკუმენტი თავისი შინაარსით, რომელიც თ. ჟორდანიას ქრონიკების მეორე ტომში აქვს გამოცემული; ,,ესე... ანდერძის წიგნი მოგეცი მე ედილაშვილმა მისრი შენ ჭარმაულს

ჭარმაულსა მღრდელს ი˜ეს ... კითხვითა და ბრძანებითა ქართლის კზ˜ისა შიოსითა და ყოველთა მცხეთის შვილთა... მას ჟამსა, ოდეს საქმე უნათესაოდ შეიქნა, ჩუენი სახლი და მამული ერთი და გაუყოფელი იყო; ერთისა ქალისა მეტი ჩუენი ნათესავი აღარა დარჩა და იგი შენ მოგეცით და ჩუენად შვილად და მემამულედ შემოგიყვანეთ და დაგიწერეთ ჩუენი მკჳდრი და მოუდევარი მამული მცხეთას, რაც ჩუენსა სახლსა ჰქონებია, მისითა საჴელოთი და სამცხეთისშვილოთი კარსანს, ჯუარს, ფოსუს, ოროტას, კუტალას და ძაგუნაკორთა, რაცა საყდრისაგან ჩუენ გუქონებია, ხატისწობენა... რაგუარაც მეფეთა და კზ˜თაგან სამკჳდროდ გვქონებია... ამისნი მოწამენი... არიან: მცეხთისა ამილახორი გობელიძე ამირან, ჯ˜ის მტვირთველი გიორგი მოლარეთ-უხუცესი ვირშელი და სულთა-მამა კირილეს შვილი დიმიტრი, ელიოზისძე მამგული, ცოცხასძე მესტუმრე კახა (?) მთავარასძე ამირინდო... დაიწერა ქკს :რო: (:რლ:?) ჴელითა მაღალიძის მცხეთის ქდაგის მახარებელისათა და მოწამეც არის“ (ჟორდანია, 1897: 252-253). ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ედილაშვილმა კათალიკოსის ბრძანებით და მცხეთიშვილთა ნებართვით იოვანეს მიათხოვა თავისი ერთადერთი ქალი და ამით ფაქტიურად მცხეთიშვილობაც, როგორც თანამდებობა სამემკვიდრეოდ გადაულოცა. საყურადღებოა ესეც, რომ შერჩეული კანდიდატი იოვანე, უკვე მღვდელი იყო და საეკლესიო საქმიანობაში ჩართული. კათალიკოსის და მცხეთიშვილთა პოზიციაც ადვილად გასაგებია, თუ რატომ შეარჩიეს იოვანე ჭარმაული მცხეთიშვილ ედილაშვილის სასიძოდ და მემკვიდრედ. ეს, აიხსნება იმით, რომ ჯერ ერთი უკვე მღვდელია და ეკლესიის შიდა საქმიანობას კარგად იცნობს, მეორე დაახლოებული და კარგი სახელით სარგებლობს კათალიკოსის კარზე და რაც მთავარია მისი საგვარეულო არ არის შემჩნეული სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმეებში, არც საეკლესიო და არც საერო ხელისუფალთაგან.

ამ საბუთის გარდა, არსებობს რიგი დოკუმენტები, სადაც ,,მცხეთიშვილებად“ იოვანეს გარდა სხვა ჭარმაულებიც იხსენიებიან. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გიორგი ჭარმაული, რომლისთვისაც **1531 წელს ბასილ კათალიკოს** წყალობის წიგნი, მიუცია; ,,ქ, სახელითა ღმრთისათა მამისა და ძისათა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისშობელისათა; ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა; ოხითა და ვედრებითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, წმიდისა იოანე წინაწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისათა და იოვანე ღმრთისმეტყუელისა და ქალწულ-მახარებელისათა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა: და ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის უდიდებულესისა წმიდასა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა და მას შინა ღმრთივაღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და მირონისა ღმერთ-მყოფელისათა;

მინდობითა და შუამდგოლობითა ყოველთა ღმრთისა წმიდათა, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ ჩუენ, ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზმან ბასილ, კითხვითა და ნება დართვითა **მცხეთის შვილთა** თქუენ, ჭარმაულსა გიორგის და შენთა ძმათა გრიგოლს და აბიათარს და შენსა შვილსა ავთანდილს.

მას ჟამსა, ოდეს ჩუენსა ჟამშიგან ჩუენითა კითხვითა მამულები იყიდე გეშაშვილისა ქერობინისგან, მალეთა საკონე და ფონთხელაზედა თქუენის მიწისა ბოლოსა ჭალა და საგუდეს მიწა; კიდევე იყიდეთ იქვე ჭაობშიგან სახნისაგან მიწა და ტყე, თქუენის მიწისა თავისა; კიდევე იყიდეთ კახეთას დედაბრიანთაგან მიწა სავენაჯე; კიდევე იყიდეთ ვარდიაშვილისაგან აღაიანთა ვენაჯი, კიდევე იყიდეთ ჯუარელთაგან საჯნავი მიწები. ესე ჩუენითა ნებართვითა გიყიდია.

და ჩუენსავე კათალიკოზობაშიგან მეჟამეობით წამოგეჭედა გარეყანისძე და სოფელი ხატისწობენი წაგართუა. კაიბრჭვენით და ღმრთისა სამართალმან შენი მკუიდრი მამული თქუენვე მოგცა.

და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგეცით სოფელი ხატისწობენი მისითა შესავლითა, და რიგადცა პატრონმან [მეფემან ლეონ] დაგიმტკიცა და გიბოძა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან კათოლიკე საყდრისა მცხეთისა და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა სოფელი **ხატისწობენა** და რაცა ამაშიგან თქუენგან ნასყიდი

მამულები სწერია. ესე ასრე გაგითავდეს და არცა სხუის ადამის ტომისა კაცისაგან.

ვინცა ეს მოგიშალოს, ჰრისხვასმცა დაუსაბამო ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი, ზეცისა და ქუეყნისანი; კრულ იყოს კაცი იგი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან დედაქალაქმან. დაიწერა ქორონიკონსა სით, ჴელითა მღდლელისა ბასილისისთა.

ახლავს ხელრთვა; ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეული ქართლისა კათალიკოზი ბასილი კრებითა ვამტკიცებთ“ (დოკუმენტი 3. დოლიძე: 252-253).

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ მცხეთიშვილობა გიორგი ჭარმაულსაც ჰქონია და მას კათალიკოსი ბასილი დიდად სწყალობს თავის გაცემული საბუთის მიხედვით. დოკუმენტის შინააარსიდან გამომდინარე იგრძნობა, რომ კათალიკოსისათვის გიორგი ჭარმაული მნიშვნელოვანი ფიგურაა და მას დიდ მხარდაჭერასაც კი აღუთქვამს, ასევე ჩამოთვლის იმ მამულებს, რომლებიც ამ გვარს და მის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ.

ჭარმაულები იყვნენ ხშირად ისეთი თანამდებობის მატარებელნი, როგორიც იყო მწიგნობარი, ანუ საბუთების დამწერნი. მაგალითად, გიორგი ჭარმაული დამწერია დავით X-ის პალატისუხუცესის და მწიგნობართმთავრის ივანე სოლაღაშვილის მიერ ქვათახევის ვლაქერნის მონასტრისათვის მიცემული სააღაპე ყმა-მამულის შეწირულობის წიგნისა. ეს საბუთი მნიშვნელოვანია და მოგვყავს მისი ტექსტი; ,,.... მე.. ღვთივ გვირგჳნოსნისა და წარჩინებულისა მეფისა დავითის პალატის უხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სოლაღაშვილისა შალვას ძემან ივანე... შემოვსწირე... მონასტერსა ქვათაჴევისასა, ვლაქერნად სახელდებულსა და მას შინა ხატსა შენსა სასწაულთა მოქმედსა... კავთის-ჴევს ორი გლეხი ერთი საჯიმა და მისნი შვილნი... და მეორე ბარდას ძე კვირიკა და მისნი შვილნი... (გლეხი სახიმი) თევდორობას მიიღებდეს ქვათაჴევს მრავალსა პურსა, ღუინოსა და სამარხოსა და კარგანდებულსა... აღაპსა გარდაიჴდიდეს ცოდვილსა სულისა ჩემისათჳს (რადგან ორისავე გლეხისათჳს სახლ-კარი და ვენახ-სახნავები მიუცია. ხოლო მეორე გლეხი, ბარდაძე, აღაპს გადიხდისო დიდსა ხუთშაბათს; ამას გარდა ერთი ვენახიც ქვათახევისთჳს შეუწირავს და ამაზე სწერს): ,,იგი ვენახი ვისიცა ქვათახეჴს წინამძღუარმან... მიაბარონ, იგი კაცი ყოველთა წელიწადთა ტფილის-ქალაქურითა:. ლიტრითა:. ოთხსა:. ლიტრასა:. ცჴლსა:. და ერთსა ლიტრასა საკმელსა ქვათაჴევს მოიღებდეს:. დაიწერა... ქორონიკონსა :სზ: ჴელითა ფდ ცოდვილსა გიორგი ჭარმაულისათა“. ბოლოს ცუდის ხელით: ,,ქ. მე ნეფესა დავითს დამიმტკიცებია“ (დოკუმენტი 2. ჟორდანია, 1897: 344-345). გიორგი ჭარმაული იყო სხვა საბუთების დამწერიც; ჭარმაულს დაუწერია ასევე თაყა ზედგენიძის მიერ სამთავისის ეკლესიისათვის მამულის შეწირულობის წიგნი. ტექსტი საინტერესოა და მოგვყავს;

,,...ჩუენ.. ამილახორმა:. თაყამან:. და ჩემმა:. ძმამან:. აღნიამან:. შვილმა და მომავალთა გუარისა ჩუენისათა... შემოგწირეთ:. თქუენ:. დიდსა და ყ[ოვლა]დ პატიოსანსა:. საყდარსა სამთავისისა და მას შინა ყ[ოვლა]დ ბრწყინვალესა ხატსა ღვთაებისისა სოფელი ნადარბაზევი მისითა შესავლითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა ვენაჴითა, სახნავითა და სათიბითა და კასპს ორი ვენაჴი, - ერთი შარვანელაშვილისაგან მოსყიდული და ერთი ჩუენგან აშენებული; და კიდევე რეჴს ვენაჴი გარეყანული ნასყიდი მოუდევარი მას ჟამსა, ოდეს ჩუენნი ძმანი ზედგინ და შიოშ ამიერ-სოფლით მიიცვალნეს და ჩუენ მათთჳს სასულიეროდ შემოგწირეთ თქუენ ხატსა ღთაებისისა... და დავადგინეთ მწირველად და მემკუდრედ ბეშქენას ძე მოძღუარი მარკოზ და მისი შვილი დანიელ, შვილნი და მომავალნი მათნი ყოველნივე ასრე და ამა წესითა, რომე ორნი მწირველნი თორმეტთა საუფლოთა და დიდითა მარხვათა მათთჳს წირვიდენ: ერთი მღდელი შიოშისთჳს და ერთი ზევდგინისთჳს, და ორსა კანდელსა დაუვსებლად აანთებდეს და სოფელი და ვენაჴი ჴელშეუვლელად მათ ჰქონდეს და ოთხსა აღაპსა კარგადებულსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა იქმოდენ სექტემბერსა ერთსა, და საბაობასა ზევდგინისთჳს გარდაიხდებოდეს აღაპი და თევდორობასა დიდსა ხუთშაბათსა შიოაშისთჳს... განგვითავისუფლებია (ვენახ-სოფლები) ყოვლისა საჩუენოსა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან:

საბალახის მეტი, ერთის დღის ხვნის მეტი და ერთის დღის მკის მეტი არასთანა არა საჯინიბო, არა საახორსალო, არა საბაზიარო, არა სამლაშე და არა სამთო; არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები საყდრისა და მეეკვდრის მეტი. - და თქუენ გვრგვნოსანნო მეფენო და ყოველნივე კარისა მათისა ვაზირნო და მოსაქმენნო! ყოველივე, გევედრები, დაამტკიცეთ... დაიწერა ქორონიკონსა :სა: (და ზედვე ხვეულად) ჴელითა ყოველთა დაბადებულთა უნარჩეველესისა გლახაკისა გრიგოლ შერმაულისითა“ (გიორგი ჭარმაული, ო.ჟ) (დოკუმენტი 1. ჟორდანია, 1897: 332-333). ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გიორგი მწიგნობარია, რომელიც კარგად ემსახურებოდა სამეფო კარის წარმომადგენლებსაც და საეკლესიო პირებსაც დოკუმენტების შედგენასა და წარმოებაში. საერთოდ ცნობილია, რომ მწიგნობრობა ერთ-ერთი საპატიო და დასაფასებელი და რაც მთავარია სანდოობის მხრივაც მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო. აქვე დასკვნით სახით იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჭარმაულთა გვარის ზოგიერთი წარმომადგენლები ცნობილი და დასაფასებელი მწიგნობრები იყვნენ.

1657 წელს მერიქიფეთუხუცესობა ქრისტეფორე კათალიკოსისაგან ზაქარია ჭარმაულს მიუღია (დოკუმენტი 4), რაც დიდი თანამდებობაა საკათალიკოსოს კარზე. ამ და სხვა თანამდებობებიდან გამომდინარე მაღალი სასულიერო იერარქიის პირები ირჩევდნენ სანდო პირებს, რომელნიც მნიშვნელოვან საკითხებს სასურველად და სანდოდ გადაწყვეტდნენ. ეს, ამ კონკრეტული თანამდებობის მიცემიდანაც ჩანს.

1675 წელს დომენტი კათალიკოსს (1675 წ. VI. 05.) სოფელ აღაიანის მოურავობა ზაქარია ჭარმაულისთვის უბოძებია. (დოკუმენტი 5) ამ თანამდებობის მიცემით მტკიცდება, რომ საკათალიკოსო თავის სამართავ მამულებში სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობებზე ნიშნავდა სანდო მოხელეებს. ამ ორი მაღალი თანამდებობიდან (მერიქიფეთუხუცესი და მოურავი) მტკიცდება, რომ ჭარმაულთა გვარი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სამეფოში არსებულ ინსტიტუტების კარზე. მოურავობის შემთხვევაში - პირს ეხებოდა სამართავ ტერიტორიაზე საგადასახადო საქმიანობის წარმოება, ყმების კონტროლი და რაც მთავარია პატრონის ერთგულება რიგი საკითხების განხორციელებაში.

საბოლოოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ ჭარმაულთა წარმომადგენელი პირებისთვის მნიშვნელოვანი საეკლესიო და სამეფო სამოხელეო თანამდებობების გადაცემა საინტერესო ფაქტებს შეიცავს. ერისთავობის გადაცემით ისინი მთელ არაგვის საერისთავოს ფლობდნენ, აკონტროლებდნენ და რაც მთავარია ამ რეგიონში მეფეთათვის სანდო დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. ,,მცხეთიშვილობის“ გადაცემით და ჭარმაულთა გვარის ამ ინსტიტუტში შეყვანით, სადაც ყოველთვის მუდმივად თორმეტი საგვარეულო იყო წევრად და სტატუსით ,,მცხეთიშვილი“ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანნი და საინტერესონი იყვნენ კათალიკოსის კარზე. ამ წოდებით პირი ხდებოდა უპირატესი საეკლესიო საქმიანობას ახლოს გასცნობოდა და გარკვეულ გადაწყვეტილებებზე თავისი აზრი და მანდატი ჰქონოდა, მაგალითად როგორიც იყო, რომელიმე სამცხეთიშვილო საგვარეულოს ინსტიტუტიდან გამოთიშვა და ახლის არჩევა. ერისთავობის და მცხეთიშვილობის გარდა, როგორც არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა ჭარმაულთა წარმომადგენელ პირებს სხვადასხვა დროს ჰქონდათ სხვა თანამდებობებიც, რაც მათი დამსახურებით და ერთგულებით აიხსნება ეკლესიის და მეფის კარზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, Ad-12 ა, 1513 წელი. თაყა ზევდგენიძის მიერ სამთავისის საყდრისათვის მიცემული მამულის შეწირულობის წიგნი.

საქართველოს ცენტრალური არქივი. 1449-1534 ა, 1519 წელი. დავით მეფის პალატისუხუცესის და მწიგნობართმთავრის ივანე სოლაღასშვილის მიერ ქვათახევის ვლაქერნის მონასტრისათვის მიცემული სააღაპე შეწირულობის წიგნი.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, Sd-733, 1531 წელი. წყალობის წიგნი ბასილ კათალიკოზისა გიორგი ჭარმაულისადმი.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, Qd-31, 1657 წელი. ქრისტეფორე კათალიკოსის წყალობის წიგნი, მიცემული ზაქარია ჭარმაულისათვის.

საქართველოს ცენტრალური არქივი. 1450-2/177, 1675 წელი 06. 05. განჩინება დომენტი III -ისა იასე ჭარმაულის შვილებისა და ზაქარიას გაყრის საქმეზე.

ბატონიშვილი ვახუშტი, (1973). აღწერა სამეფოისა საქართველოისა, *,,ქართლის ცხოვრება",* ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

ბახტაძე, მ. (2005). *არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია (XVI-XVIII სს.).* თბილისი: გამომცემლობა ,,არტანუჯი".

დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ.III, თბილისი.

დოლიძე, ი. (1972). *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ. IV, თბილისი.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა (1897). შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი, თ. ჟორდანიას მიერ. წ. 2, ტფილისი.

REFERENCES

k'. k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri, pondi, Ad-12 a, 1513 ts'eli. taqa zevdgenidzis mier samtavisis saqdrisatvis mitsemuli mamulis shets'irulobis ts'igni. *[Kekelidze K. National*

Center of Manuscripts, Foundation, Ad-12 A, 1513. The donation book of the estate given by Thaka Zevdgenidze to the Samtavisi Cathedral].

sakrtvelos tsent'raluri arkivi. 1449-1534 a, 1519 ts'eli. davit mepis p'alat'isukhutsesis da mts'ignobartmtavris ivane solaghasshvilis mier kvatakhevis vlakernis monast'risatvis mitsemuli saaghap'e shets'irulobis ts'igni. *[Central archive of Georgia.* 1449-1534 A, 1519 years. The book of donation given to the Vlakern Monastery in Kvatakhevi by Ivane Solaghasshvili, the chamberlain of King David and scribe].

k'. k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri, pondi, Sd-733, 1531 ts'eli. ts'qalobis ts'igni basil k'atalik'ozisa giorgi ch'armaulisadmi. [*Kekelidze K. National Center of Manuscripts,* Foundation, Sd-733, 1531. Book of mercy of Basil the Catholicos to Giorgi Charmauli].

k'. k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri, pondi, Qd-31, 1657 ts'eli. krist'epore k'atalik'osis ts'qalobis ts'igni, mitsemuli zakaria ch'armaulisatvis.. [*National Center of Manuscripts named after K. Kekelidze*, Foundation, Qd-31, 1657. The Book of Mercy of Christopher the Catholicos, given to Zakaria Charmauli].

sakartvelos tsent'raluri arkivi. 1450-2/177, 1675 ts'eli 06. 05. ganchineba dom ent'i III -isa iase ch'armaulis shvilebisa da zakarias gaqris sakmeze. [Central Archive of Georgia. 1450-2/177, 1675 year 06. 05. Ruling of Domain III on the divorce for the children of Yase Charmauli and Zakaria].

bat'onishvili vakhusht'i, (1973). aghts'era samepoisa sakartveloisa, ,,*kartlis tskhovreba",* t'ekst'i dadgenilia qvela khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier, tbilisi: gamomtsemloba ,,sabch'ota sakartvelo". [Description of the Kingdom of Georgia, "*The Life of Kartli",* the text is established according to all manuscripts by S. Kaukhchishvili] Tbilisi: "Soviet Georgia" publishing house.

bakht'adze, m. (2005). *aragvis eristavta kronologia (XVI-XVIII ss.).* tbilisi: gamomtsemloba ,,art'anuji". *[Chronology of the nobles of Aragvi (XVI-XVIII centuries).]* Tbilisi: "Artanuji" publishing house.

dolidze, i. (1970). *kartuli samartlis dzeglebi,* t'.III, tbilisi. *[Monuments of Georgian Law, Volume III]* Tbilisi.

dolidze, i. (1972). *kartuli samartlis dzeglebi,* t'. IV, tbilisi. [Dolidze, I. (1972). *Monuments of Georgian Law,* Vol. IV] Tbilisi.

kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa (1897). shek'rebili kronologiurad dats'qobili da akhsnili, t. zhordanias mier. ts'. 2, t'pilisi. *[Chronicles and other materials of Georgian history and writing (1897).* Collected Chronologically Arranged and Explained by T. Jordania, 2] Tbilisi.